**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 2023 წლის სენაკის რაიონული (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლოს**

# ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, სენაკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით სენაკის რაიონული (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატი) სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2022 წლის 08 დეკემბრიდან 2023 წლის 07 დეკემბრამდე სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტრატ) სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა ,,120" განცხადება.

შემოსული განცხადებებიდან:

- დაკმაყოფილდა - 2 განცხადება;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 1 განცხადება;
- არ დაკმაყოფილდა - 115 განცხადება;
- ქვემდებარეობით გადაიგზავნა - 1 განცხადება;
- ფორმალური გაუმართაობის გამო განმცხადებელს დაუბრუნდა - 1 განცხადება;

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ყველა განცხადებას პასუხი გაეცა წერილობითი ფორმით, ასევე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, კანონით დადგენილ ვადაში.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგი საჯარო მოსამსახურის - სენაკის რაიონული სასამართლოს მენეჯერის - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის - I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შალვა კაჭარავას მიერ, რომელიც - 2012 წლის 06 იანვრიდან სენაკის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა სენაკის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ საჩივარი არ შემოსულა.

პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ სენაკის რაიონულ (მათ შორის აბაშისა და მარტვილის მაგისტარტ) სასამართლოს, საქმისწარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას, ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო აპარატის თანამშრომელთა მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით, შესაბამისად, 2022 წლის 08 დეკემბრიდან 2023 წლის 07 დეკემბრამდე, სასამართლომ პერსონალური მონაცემები გასცა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევის თაობაზე დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლოს თანამშრომლის მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: სასამართლოს მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები არ იძლეოდა მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვების/დამუშავების შესაძლებლობას ან/და სენაკის რაიონულ სასამართლოში ინფრომაცია დაცული არ იყო.

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირისათვის  დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს  ადგილი არ ჰქონია.

**შალვა კაჭარავა**

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურ**

**სენაკის რაიონული სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებ**
**უფროსი - I რანგის - პირველადი სტრუქტურული ერ**
**ხელმძღვანელი**

Shalva Katcharava 02001003509

Digitally signed by Shalva Katcharava
Date: 2023.12.07 14:02:39